

ეროვნული სკოლა

ეროვნული სკოლის შესახებ დღეს სრული ერთსულოვნება სუფევს ქართველ საზოგადოებაში. საყოველთაოდ აღიარებულია ის ქვეყნობა, რომ პირველდაწყებითი სწავლა-განათლება დედაენის შემწეობით უნდა წარმოებდეს, რომ დედაენა საფუძვლად უნდა დაედოს თვით ჰუმანიტარული და სპეციალური ცოდნის შეძენას. თანამედროვე მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ ენა და აზროვნება მჭიდროდ გადაჭიმულია ერთმანეთში, რომ პირველის შეფერხება ან დამახინჯება აუცილებლად უკანასკნელის შეფერხებას და დამახინჯებას იწვევს.

მაგრამ ჩვენი ეროვნული სკოლა მარტოდენ მეცნიერული საკითხო როდია: მას უარყოფენ არა პედაგოგიური, არამედ პოლიტიკური მოსაზრებები და საღი პედაგოგიკა იძულებულია ქედი მოიხაროს სკოლის ყალბი პოლიტიკის წინაშე. ჩვენი ნორჩი თაობის გადაგვარება ბოლო დრომდე სრულიად შეგნებულად ხდებოდა უმაღლესი სახელმწიფოებრივი იდეის სახელით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მტრის შემოსევას იშვიათად მოუტანია ჩვენი სამშობლოსთვის ისეთი ზიანი, როგორც უცხო სკოლის შემოჭრამ მოუტანა.

ბოლო დროს ლიბერალური აზროვნების გავლენის ქვეშ რუსის მთავრობა დათმობის გზას დაადგა. ორიოდ წლის წინათ ჩაგრულ ერებს უფლება მიეცათ კერძო სასწავლებლებში სწავლა-განათლება დედაენაზე აწარმოონ. მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ ეს დათმობა სრულიად არ წყვეტს ძირითად საკითხს.

რაც დრო გადის, მით უფრო ძლიერი ხდება ჩვენს ხალხში სწავლის წყურვილი. ამ წყურვილის დაკმაყოფილება სავსებით მხოლოდ ერთი საშუალებით შეიძლება: საყოველთაო-სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლა-განათლების შემოღებით. ეს კი მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია. კერძო თაოსნობა განსაზღვრულია. კიდევ უფრო განსაზღვრულია თანხა, რომელიც კერძო პირებსა და საზოგადოებებს მოეპოვება სასწავლებლის გასახსნელად. ვერც რიცხვით, ვერც გავლენით კერძო სასწავლებელი ქიშპობას ვერ გაუწევს სახელმწიფო სასწავლებელს, მით უმეტეს, რომ ამ უკანასკნელის მხარეზეა კიდევ ერთი დიდი უპირატესობა: სანამ სახელმწიფო დაწესებულებებში და ეკონომიკურ ცხოვრებაში რუსული ენაა გაბატონებული, მცხოვრებთა მასა ყოველთვის სამინისტრო სასწავლებელს აირჩევს ყოველი პედაგოგიური მოსაზრების დამოუკიდებლად. ეს ბუნებრივია. ენა, სხვათა შორის, სოციალური ბრძოლის იარაღია: ვინც ამ იარაღს მოკლებულია, ის ადვილად მარცხდება თანამედროვე შმაგ შეჯიბრებაში.

ქართული ენა სკოლაში მხოლოდ მაშინ მოიპოვებს ჯეროვან ადგილს, როცა ის სახელმწიფოებრივ დაწესებულებასა და ეკონომიკურ ცხოვრებაში შეუზღუდავად გაბატონდება. ეს კი პოლიტიკური თვითმმართველობის მოპოვებას გულისხმობს. ამიტომ, ვინც საღ პედაგოგიკას იცავს და ეროვნული სკოლის შემოღებას ითხოვს, საღი პოლიტიკის გზასაც უნდა დაადგეს და ეროვნული თვითმმართველობა მოითხოვოს.